წინასაყრილობო დღეთა მაჯისცემა

აფხაზეთის მშრომელები საიუბილეო ვახტაზე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ქ.ქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ს.ქ.ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ს.ქ.ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 იანვარი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● №10 (14920)

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას, პარტიული კომიტეტები მტკიცედ უნდა დაეყრდნონ მათ, დაეხმარონ შინაპარტიული მუშაობის მოწესრიგებასა და მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის გაშლაში.

ს.ქ.კ XXIII ყრილობის რეზოლუციიდან.

კომუნისტთა მთავარი საზრუნავი

აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია ს.ქ.ართველოს კომპარტიის ერთ-ერთი უძველესი და მოწინავე რაზმია. მისი წინამძღოლობით აშენდა და დამშვენდა ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები. ეს შესანიშნავი და უალმაზესი კუთხე თავისი კურორტებით მსოფლიოში ცნობილი გახდა.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საშშობლოს ვადამდე უსტაკაცეს მერვე ხუთწლედის შესრულება და გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს ასეულ ათასობით მანეთის საარეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

სად არ შეხვდებით აფხაზეთის კომუნისტთა მრავალრიცხოვანი არმიის წარმომადგენლებს. ისინი მუშაობენ სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ დირექტორსა თუ წარმოების რიგით მუშაკს ამოძრავებს საერთო საქმისათვის, კოლექტივის ღირსებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. ისინი გამოდიან უყაირათობის წინააღმდეგ, ებრძვიან მომგირნეობასათვის ყველგან და ყველაფერში.

მეცხრე ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე აფხაზეთის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია ახალი ძალით აგრძელებენ ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელს დაწყებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, ძვირფას შრომითს საჩუქრებს უმზადებენ ს.კ.კ XXIV ყრილობასა და საქართველოს საიუბილეო თარიღებს. აფხაზეთის კომუნისტები, ისევე როგორც ყოველთვის, ახლაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ შრომითს ალმავლობას, შეჯიბრების თვითეულ მონაწილეს უნდა შეუქმნან პირობები იმისათვის, რომ წარმატებით გაანაღდოს როგორც გეგმა, ისე ნაკასრი სოციალისტური ვალდებულებანი. თვით კომუნისტები შრომაში საუკეთესო მაგალითის მაჩვენებლები უნდა იყონ.

დღეს „კომუნისტში“ დაბეჭდილი მასალები სწორედ აფხაზეთის კომუნისტთა მოღვაწეობას ეძღვნება. წერილებში მოთხრობილია, თუ როგორ აშრომეს აფხაზეთის მშრომელებმა, კომუნისტებმა ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, როგორ ემზადებიან ს.კ.კ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს თუბილესთვის.

უეჭვი არ არის, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები უოველმხრივ გაუკეთებენ ანალიზს იმას, თუ რა მდგომარეობაშია ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის საქმე, და დასახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ყველა საწარმომ ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულოს სახელმწიფო გეგმა.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს. ეს გასაგებიც არის. უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დასახეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი განვითარების გზები და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვეს გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა.

რესპუბლიკის ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს ს.კ.კ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამავე დროს არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მთელი რიგი კოლმეურნეობები პლენუმების მიერ დასახულ ამოცანებს ნელა წყვეტენ. ამაზე ლაპარაკი იყო ადგილობრივი პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები ნელა ვითარდება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე მდგომი მრავალი ამოცანების გადაწყვეტა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის მთელი მუშაობის შემადგენელი ნაწილია. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უზრუნველყონ საგაზაფხულო თესვისათვის დროზე მომზადება, გამოიყენონ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება. საჭიროა აგრეთვე ორგანიზებულად გამოვაზამთროთ პირუტყვი, შევინარჩუნოთ ნამატი და მივაღწიოთ პროდუქტიულობის გადიდებას.

ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა პირდაპირ დამოკიდებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონეზე. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ მდიდრდებიან პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის უნარიანად შეხამების გამოცდილებით. ამავე დროს ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელია, რომ პოლიტიკა სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას უნდა შეეუხამოთ, პრაქტიკულად კი ეს ერთიანობა არ უკავშირდებენ ყოველდღიურ მუშაობას სამეურნეო მშენებლობის დარგში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა მოაწყონ მთელი იდეოლოგიური მუშაობა, რომ იგი ნამდვილად იყოს მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი იარაღი, ისინი ქმედითი საშუალება, რომ მშრომელები დავიჯაჭოთ მეცხრე ხუთწლედის შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის აღმავლობის, მრეწველობის განვითარების ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. გადაჭრით უნდა გავდევნოთ პროპაგანდიდან და აგიტაციიდან დოგმატიზმი და მედავეთნეობა, ვიბრძოლოთ მარქსისტულ-ლენინური სიმტკიცისათვის იდეოლოგიურ მუშაობაში.

შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესება, კომუნისტების აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარება პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი გაძლიერების უცილობელი პირობაა. მწვავედ უნდა გავაკრიტიკოთ მუშაკები, რომლებიც არღვევენ პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს და შინაპარტიული ცხოვრების დიდი ლენინის მიერ შემუშავებულ ნორმებს. პარტია ვფასობ-წავლის განუხრელად განვახორციელოთ პარტიული მშენებლობის კანონები, ზუსტად დავიცვათ პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპი — ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნები.

განვავითაროთ კომუნისტების აქტივობა და ინიციატივა — ეს იმას ნიშნავს, რომ განუხრელად განვახორციელოთ შინაპარტიული დემოკრატია, გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა და ამ საფუძველზე გავაძლიეროთ პარტიული მასების კონტროლი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისადმი.

აფხაზეთის კომუნისტები. ყველა მშრომელნი, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი პარტიის გარშემო, კვლავაც ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებს.

კომუნისტი ანატოლი ციბა

ტყვარჩელიის ნ. ლაკობას სახელობის შახტაში მოწინავე მეშახტეთა შორის ერთ-ერთ პირველს დაეხახელებენ კომუნისტ ა. ციბას. ნოვატორი მეშახტე სსრ კავშირის უმაღლესი სახბჭოს დეპუტატია. მან ტყვარჩელელ მეშახტეთა შორის ყველაზე ადრე გაანაღდა ხუთწლიანი გეგმა. ახლა იგი დროს ბევრად უნერგავს, ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. კომუნისტი ა. ციბა არჩეულია საქართველოს კპ აფხაზეთის XXXI საოლქო კონფერენციის დელეგატად.

სურათზე: ბ. ციბა.

დამკვრელური შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ

მეშახტეთა სიტყვა და საქმე

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). შერვე ხუთწლედის გეგმის შესრულებაში შეასანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ტყვარჩელელმა მეშახტეებმა. მათ ხუთწლედის დავალება 18 ნოემბრისათვის გაანაღდეს, ხოლო გასული წლის გეგმა 21 დეკემბრისათვის.

ს.კ.კ XXIV ყრილობის, ს.ა.ბ.ჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შეკრების 50 წლისთავის აღსანიშნავად მეშახტეებმა გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს და გადაწყვიტეს:

1971 წლის პირველი კვარტალის დავალება შეასრულონ 29 მარტისათვის, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 2,5 პროცენტით, გეგმის გადამეტებით ამოიღონ 4.700 ტონა ქვანახშირი, 1.500 ტონა კოქსგადი კონცენტრატი, რიგითი ქვანახშირისა და კონცენტრატის ნაცრიანობა შეამცირონ 0,1 პროცენტით, შრომის ორგანიზაციის სრულყოფით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, მექანიზმებისა და მასალების მოგეზირნეობით ხარჯვის ფონდად საშობლოს მისცეს 70 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის მშრომელებმა გადაწყვიტეს 1971 წლის პირველი კვარტალის დავალება შეასრულონ 26 მარტისათვის და გეგმის გადამეტებით გამოიმუშაონ სამი მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 4 პროცენტით, გასწიონ 50 ათასი მანეთი ეკონომია.

ტყვარჩელელ მეშახტეთა და ენერგეტიკოსთა ახალი წლის პირველ დღეებში მუშაობის შედეგები ცხადყოფენ, რომ ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად იქნება შესრულებული. ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოთა უმრავლესობა გადაჭარბებით ანაღდებს საღდელამისო დავალებებს. გეგმის გადამეტებით უკვე ერთ მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია გამოიმუშავეს ტყვარჩელელმა ენერგეტიკოსებმა.

გეგმის გადამეტებით

ზუხუმი. (საკ. კორ.). თამბაქოს ექსპერიმენტალური კომბინატის (დირექტორი ლ. ქვარანძია) კოლექტივმა ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და 1970 წლის დავალება.

წარმატებით დაიწყო კომბინატმა ახალი სამეურნეო წელი. იანვრის 7 დღის დავალების გადამეტებით გამოშვებულია 15 ტონა ფერმენტირებული თამბაქო, აქედან 5 ტონა საექსპორტო კონდიციისა. ჩაება რა პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა საამრთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის დავალება შეასრულოს 28 მარტისათვის და გეგმის გადამეტებით გამოშვებას 20 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 0,5 პროცენტით, სახელმწიფოს მისცეს 10 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ბრძანებულება

ს.ქ.ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „ლენინის დროშის“ ს.ქ.ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსებიდან ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ს.ქ.ართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**

ს.ქ.ართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე**

თბილისი, 1971 წლის 13 იანვარი.

მეგობრული საუბარი

უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის დელეგაცია, რომელსაც უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ხორვატი მეთაურობს, 12 იანვარს შეხვდა ი.ს.ს.რ ს.ქ.ართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **გ. ს. ძოწენიძეს.**

გ. ს. ძოწენიძემ უნგრელ კომკავშირელთა წარმომადგენლებს გააცნო უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების ახალგაზრდა დეპუტატთა საქმიანობა, რესპუბლიკის სოციალისტიბრიგადიერ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობა, მათი წვლილი საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ა. კვაშაძე** და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე **შ. ზ. ბერიანიძე** სტუმრებს ესაუბრნენ იმ მრავალ საკითხზე, რომლებსაც წყვეტენ მშრომელთა დეპუტატების სხბჭოები და მათი მუდმივი კომისიები.

უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი.შტვან ხორვატმა** აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებმა საქართველოში ყოფნის დროს ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი რამ შეიძინეს. ჩვენ შევიტყეთ, — თქვა მან, — თუ რა შთაგონებით ემზადებიან საქართველოს კომკავშირელები, ახალგაზრდობა, ყველა მშრომელი ს.კ.კ XXIV ყრილობისა და თავისი რესპუბლიკის იუბილესთვის.

— მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულ საბჭოთა ადამიანებს, თქვა ი. ხორვატმა, ღირსეული წვლილი შეაქვთ ხალხთა ერთობისა და მეგობრობის განმტკიცებაში. ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ საბჭოთა ხალხის ძმურ მხარდაჭერასა და დახმარებას და ეს ხელს გვიწყობს წინსვლაში.

საუბარს დაესწრნენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ა. პუგო,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ი. ბ. გამყრელი,** საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე **რ. ა. გოგლაძე.** აქვე იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი **დ. მაკლარი.**

(საქდესი).

ფასდაუდებელი მემკვიდრეობის პროპაგანდისტი

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი 50 წლისაა

დიდი დამსახურებისათვის **კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის** იდეური წმენდიერობის მეცნიერულ დამუშავებაში, გავრცელებასა და პროპაგანდაში და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით ს.კ.კ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის **ინსტიტუტი** დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

საკავშირო კორესპონდენტმა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ბ. ფ. ობიჩკინს სთხოვა მოეთხრო პარტიის ამ უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ განვლილი გზის ძირითად ეტაპებზე, იმაზე, თუ როგორ ახარებენ მისი კოლექტივი ს.კ.კ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ამოცანებს.

— რკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 11 იანვრის დადგენილებით, — თქვა ბ. ფ. ობიჩკინმა, — მოსკოვში შეიქმნა მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტი. 1923 წელს მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით დაარსდა ლენინის ინსტიტუტი, ხოლო 1931 წელს მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტი და ლენინის ინსტიტუტი გაერთიანდნენ მარქს-ენგელს-ლენინის ერთიან ინსტიტუტად, ამჟამად ს.კ.კ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტად.

ჩვენმა პარტიამ უდიდესი მუშაობა გასწია კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეგრეხისა და გამოცემისათვის. ამჟამად მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების, მათი დიდი გმირობის განმტკიცების ვ. ი. ლენინის ხელნაწერთა და ისტორიულ-პარტიული დოკუმენტების დიდი ნაწილი ინახება მოსკოვში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში.

დიდი მუშაობა წარმოებს ვ. ი. ლენინის ნაშრომების ხელნაწერთა შესწავლისა და გამოცემისათვის. მისი თხზულებების უკანასკნელი, სრული კრებული, როგორც ვიცით, 55 ტომისაგან შედგება. სრულ კრებულში შეიდა 9 ათასამდე დოკუმენტი, რომელთაგან ნახევარზე მეტი შეტანილი არ ყოფილა წინა გამოცემებში, 1.100-მდე ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა.

ინსტიტუტის საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია ს.კ.კ ისტორიის მრავალტომიანი მეცნიერული ნაშრომის მომზადებას, პარტიის, საერთაშორისო მუშაობა და კომუნისტური მოძრაობის დოკუმენტების გამოცემას.

(საკდესი).

დარგაზოგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ბ. ა. როდიონოვმა** 12 იანვარს მიიღო თბილისში მყოფი უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარმომადგენლები, რომლებსაც მეთაურობს უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ხორვატი.** დელეგაციის წევრებს ახლდა სსრ კავშირში უნგრეთის საბალნო რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი **დ. მაკლარი.**

გულითადი, მეგობრული საუბრის დროს **ბ. ა. როდიონოვმა** უამბო უნგრეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარმომადგენლებს იმის შესახებ, თუ როგორ ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები კომკავშირს.

ბ. ა. როდიონოვი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მეგობრულმა უნგრელ კომკავშირელებს და უსურვა წარმატებანი სოციალისტური მშენებლობისა და საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საკეთილდღეო ნაყოფიერ საქმიანობაში.

ი. ხორვატმა დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი საქართველოში ყოფნის შესახებ. ჩვენ, განაცხადა მან, წოლად გვხვდა ბედნიერება გავცნობოდით და დავმეგობრებოდით შესანიშნავ ქართველ ახალგაზრდობას.

თქვენთან ჩამოვედით ს.კ.კ XXIV ყრილობის წინ, რომელიც ისტორიული მოვლენა იქნება არა მარტო საბჭოთა, არამედ ევროპის მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ცხოვრებაში.

ჩვენ მიერ საბჭოთა კავშირში შეძენილი გამოცდილება დავეხმარება კიდევ უფრო ავამაღლოთ ახალგაზრდობის იდეური აღზრდის დონე, დავრაზმოთ იგი უნგრეთში სოციალიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსამოგებლად.

საუბარში მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ა. პუგო,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის გასაოფლების გამგე **რ. ვ. მეტრეველი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ა. პატიაშვილი.** (საქდესი).

მიფრინავს „კოსმოს-390“

1971 წლის 12 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-390“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საბჭოთა გამოცდილ ბ.ა.ბ.ა.ბ.ა.



აფხაზეთის კომუნისტები

ჩვენი მიღწევები, ახალი ამოცანები

ციფრებისა და ფაქტების ენით საუბარი თვალსაჩინოა. მაგრამ რა წარმატებაზეც უნდა ვილაპარაკოთ, ჩვენ მიერ დაწერილ ყოველ სტრიქონში დავინახავთ პარტიის ხელმძღვანელი, წარმმართველ როლს, პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების შემოქმედებითს მუშაობას. ეს ენთუზიაზმი განსაკუთრებით იგრძნობა ახლა, როცა ვემზადებით სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ადგილებზე თანდათან ძლიერდება პარტიულ-ორგანიზატორული, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. განვლილმა რაიონულმა და საქალაქო პარტიულმა კონფერენციებმა გვიჩვენა, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება საანგარიშო პერიოდში გადატანილი იყო სკკპ XXIII ყრილობის, საქართველოს კპ XXIII ყრილობისა და აფხაზეთის XXX საოლქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე.

აფხაზეთის მრეწველობის მშრომელებმა ჯერ ვიდევ გასული წლის ოქტომბერში შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა. ამ პერიოდში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 51,6 პროცენტით გაიზარდა, თუ მეშვიდე ხუთწლედის ყოველ წელიწადს პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 4,4 პროცენტით იზრდებოდა, მერვე ხუთწლედში მან 8,7 პროცენტი შეადგინა.

პროდუქციის გამოშვების ზრდა განაპირობა შრომის მაღალმა ნაყოფიერებამ. ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება 40 პროცენტით გადიდდა, ხოლო საწარმოო პერსონალის გამომუშავება — 20,3 პროცენტით, ე. ი. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი 19,7 პროცენტით უსწრებს ხელფასის ზრდის ტემპს. ამით დაცულია ახალი ეკონომიური რეფორმის ძირითადი პრინციპი. ამ წლებში საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულებაც. მასალების ეკონომიითა და მოჭარბებებით მიღებულია 7,5 მილიონი მანეთი მოგება.

წინასწარი მონაცემებით ხუთწლედის გეგმის გადამეტებით ამოღებულია 100 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი, დამზადებულია 65 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, გამოშვებულია 10 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, დამზადებულია 42.958 ცენტნერი ხორცი და ძეხვეულის ნაწარმი, 97.279 ცენტნერი თევზეული, 128 ათასი დეკალიტრი ღვინო, 100 ათასი დეკალიტრი ლუდი, 3.884 ტონა ბაიხაო ჩაი, 1.226 ტონა ფერმენტირებული თამბაქო, 127 მილიონი ცალი სიგარეტი და პაპიროსი.

პარტიის წარმმართველი როლი

ვ. კობახია,
საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

◆

თვის. შედეგმაც არ დააყოვნა. წლების მანძილზე მარშან პირველად გადაგარბებით შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები. წლის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა იმდენი საცხოვრებელი ფართობი, რამდენიც ხუთწლედის პირველი ოთხი წლის განმავლობაში. ეს პროგრესი მიღწეულია მშენებელთა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, ტექნიკის ფართოდ გამოყენებით.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა, მევენახეებმა და მეაბრეშუმეებმა, მეფუტკრეებმა და მეცხოველეებმა. ამაში დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა გადიდებამ, ტექნიკით მომარაგებამ.

მოწინავეთა ავანგარდში არიან მეჩაიეები. უკანასკნელი წლების მანძილზე ისინი საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. მაგალითად, 1968 წელს მათ გეგმის გადამეტებით ჩააბარეს სახელმწიფოს 1.500 ტონა ჩაის ფოთოლი, 1969 წელს — 3.200 ტონა, ხოლო 1970 წელს — 7.500 ტონაზე მეტი. სულ კი ხუთწლედის ბოლო წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 48.594 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოწინავეთა რიგებში არიან გუდაუთის რაიონის დურიფშის, ლიხნის, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქორარას „საქართველოს“, მოქვის, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. მეჩაიეობაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლები უშუალოდ დაკავშირებულია საკოლმეურნეო წარმოების ისეთ ვეტერან ადამიანთა სახელებთან, როგორიც არიან მ. ადლეიბა, ც. ქარდავა, მ. არძინბა და სხვები. მათი გამოცდილება ჩაის პლანტაციებში მომუშავე ბევრი მეჩაიის საკუთრება გახდა. მათს შორის არიან ა. ვოუბა, ბ. აკაბა, დ. ხუფორია, ს. გუშბა, ლ. ამმასურდია, ი. ბახია, ზ. ჯოლია.

წლების მანძილზე რესპუბლიკა წარმატებით ასრულებს სახელმწიფოსათვის ციტრუსების მიყიდვის დავალებებს. არსებითად გაიზარდა ეთერზეთების, ბოსტნეულის დამზადება.

დიდი ღონისძიებები განხორციელდა მეთამბაქოობის განმტკიცებისათვის. ამის შედეგად მეთამბაქოობის ისეთმა რაიონებმა, როგორიც გაგრა, სოხუმი, გალი და ოჩამჩირეა, გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მაგრამ დავალებებს თავი ვერ გაართვეს გუდაუთისა და გულრიფშის რაიონებმა, სადაც საკმაო როდენობით არ დარგეს თამბაქოს ჩითილი, რამაც რესპუბლიკის მასშტაბით მეთამბაქოობის გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგრძნობლად გაუმჯობესა მექანიზაციის სამუშაოები „აფხაზსოფლტექნიკამ“. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორების პარკი უკანასკნელ წელიწადში თითქმის 500 ტრაქტორით გაიზარდა, ახლა მინდვრებსა და პლანტაციებში ყოველწლიურად შეგვაქვს 40 ათას ტონაზე მეტი მინერალური სასუქები.

წარმატებით ხორციელდება სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების მშენებლობა. რესპუბლიკის წყალმეურნეობის მუშაკებმა უკანასკნელ სამ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადასცეს 5.200 ჰექტარი დაჭაობებული მიწა; საგრძნობლად გაფართოვდა სარწყავი მიწების ფართობი, რომელმაც 2.636 ჰექტარს მიაღწია.

როცა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებებზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობანი, რომელთა გამოვლინება და ამოქმედება მომავალში კიდევ უფრო გაზრდიდა სამრეწველო და საკოლმეურნეო წარმოებას. ჩვენ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების მიერ დასახული სამეურნეო მშენებლობის პროგრამის განხორციელება პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებას მოითხოვს. ამწ. ვ. პ. მეგვანაძე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნავდა, რომ პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის საკითხები, ე. ი. ადამიანებთან მუშაობა, მათი აღზრდა, მათი იდეური წრთობა, მათი მობილიზაცია კომუნისტურ მშენებლობაში წარმატებების მიღწევისათვის — ყოველთვის იყო და ახლაც არის ყველაზე მთავარი, ყველაზე საჭირო პარტიულ მუშაობაში.

ჩვენ ამჟამად 1.064 პირველადი პარტიული ორგანიზაცია გვაქვს. საგრძნობლად გაიზარდა უშუალოდ წარმოების უბნებზე — საამქროებში, ბრიგადებში, ფერმებში, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებში შექმნილი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტჯგუფების რიცხვი. თუ 1968 წლის 1 იანვრისათვის მათი რიცხვი 782 შეადგენდა, 1971 წლის 1 იანვარს 1.013-ს მიაღწია. ამრიგად, ჩვენ გვაქვს პარტიული პირველადი, საამქრო ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების ფართო ქსელი, რომელიც მოიცავს ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროს. ეს კარგ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ამაღლდეს პარტიული მუშაობა ეკონომიკისა და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი პარტორგანიზაცია, სადაც, შეიძლება ითქვას, ჩქეფს პარტიული ცხოვრება, სადაც კომუნისტები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, იცავენ პარტიული ცხოვრების ნორმებს. ასეთია რიცხვში უნდა ჩავასახელოთ ტყვარჩელის № 2 და № 5 შახტების, გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის, ოჩამჩირის რაიონის ჭანბას სახელობის კოლმეურნეობის, გალის რაიონის ქვემო ბარღების ჩაის სოფელ მუხურის კოლმეურნეობები, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქორარას „საქართველოს“, მოქვის, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. მეჩაიეობაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლები უშუალოდ დაკავშირებულია საკოლმეურნეო წარმოების ისეთ ვეტერან ადამიანთა სახელებთან, როგორიც არიან მ. ადლეიბა, ც. ქარდავა, მ. არძინბა და სხვები. მათი გამოცდილება ჩაის პლანტაციებში მომუშავე ბევრი მეჩაიის საკუთრება გახდა. მათს შორის არიან ა. ვოუბა, ბ. აკაბა, დ. ხუფორია, ს. გუშბა, ლ. ამმასურდია, ი. ბახია, ზ. ჯოლია.

საბჭოთა მეურნეობის, გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, გაგრის რაიონის კურორტ „ბიჭვინთის“, სოხუმის რაიონის თამბაქოს საცდელ-ექსპერიმენტული კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

პარტიის საოლქო კომიტეტი უკანასკნელ წლებში დიდ ყურადღებას უთმობს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდებისა და სტილის გაუმჯობესების საკითხებს. მაგალითად, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე კრიტიკის ქარცეცხლში არაერთხელ გაგვიტარებია მთელი რიგი პარტიული კომიტეტები, კერძოდ, პარტიის ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიკომები. მათ ამ კრიტიკიდან სწორი დასკვნები გამოიტანეს.

უკანასკნელ სამ წელიწადში საგრძნობლად ამაღლდა კადრების მომზადების დონე პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე. მაგალითად, ახლა პარტიის რაიკომებისა და ქალაქკომების ყველა პასუხისმგებელი მუშაკი უმაღლესი განათლებით არის. 1.064 პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნიდან უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს 927 კაცს, აქედან 129 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკია, 109 — სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმატებებთან ერთად ცოტა როდია ნაკლიც. მათი აღმოფხვრისათვის ჩვენ ყოველთვის ვიყენებთ პარტიის ნაცად იარაღს — კრიტიკასა და თვითკრიტიკას. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ XXXI პარტიული საოლქო კონფერენციის დელეგატები საქმიანად გაუკეთებენ ანალიზს განვლილ მუშაობას, გამოავლინებენ ბევრ გამოუყენებელ რეზერვს, პრინციპულ საუბარს გააჩაღებენ პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, წარმოების ჩამორჩენილი უბნების დაწინაურებისათვის. ილაპარაკებენ იმ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დგას ახლა, მეცხრე ხუთწლედში.

როცა მუშაობის ახალ გეგმებს ვადგენთ, ჩვენ კარგად გვესმის, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა ამაღლებს თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობასაც საერთო საქმეში. ამიტომ რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურის შემდგომ განვითარებას უშუალოდ ეუკავშირებთ კომუნისტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტივობის ამაღლებას. კომუნისტის მოვალეობა ხომ ყოველთვის ის არის, რომ იყოს მოწინავე, ყოველთვის იყოს იქ, სადაც სიძნელეა და საჭიროება მოითხოვს.

სურათზე: აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა მოწინავე კომუნისტები (მარცხნიდან) — ს. ფხაკაძე — № 7 სტამბის ამწყობი, ბ. ჯაყელი — თბილგვირაბმშენის № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი, ი. ალექსეევა — ხორცკომბინატის მუშა, ნ. ნიკურაძე — საქსოვი ფაბრიკის მუშა, ბ. ბიგვავა — ქიმიური ქარხნის მუშა, ი. შულარია — საგალანტერეო ფაბრიკის მუშა, ა. ძიძარია № 8 სტამბის მბეჭდავი, ნ. გობეჩია — ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ფოტო მ. ტარასოვისა.

სოხუმის მარკით

სოხუმი. (საკ. კორ.). ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა 1970 წლის გეგმა. აქ გამოშვებული სხვადასხვა სახის ხელსაწყოები იგზავნება როგორც საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ისე საზღვარგარეთ. ხელსაწყოები ყველგან მოწონებით სარგებლობს. ამას ადასტურებს ის, რომ საწარმოს შარშან არცერთი რეკლამაცია არ მოუღია.

გასული წლის ბოლოს ქარხანაში ავტოკალმებისა და სხვა ხელსაწყოებისათვის ითვისეს მილიმეტრიანი ბურთულების წარმოება. ეს პროდუქცია მზადდება უახლესი ტექნოლოგიით. იგი ჩვენს ქვეყანაში პირველად სოხუმში იქნა გამოშვებული.

უკვე გამოშვებულია ბურთულების პირველი მილიონები. ეს პროდუქცია გაიგზავნება ლენინგრადის, ხარკოვის, გროზნოსა და სხვა ქალაქების საწარმოებში.

ბუნებრივი ცხელი წყალი სათბურებში.

ოჩამჩირე (საკ. კორ.). სოფელ ოხურეიში თერმული წყაროს გვერდით ამას წინათ გამოჩნდა პოლიეთილენის აპკით გადახურული მეტალის კონსტრუქციები.

ოჩამჩირის მერქეევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს პირველი ხუთი ექსპერიმენტული სათბური. თვითეულის სასარგებლო ფართობი 500 კვადრატული მეტრია. სამ სათბურში უკვე ამწვანდა კიტრის წნულები. მათ სიცივისა და ყინვის არ ეშინიათ. წყაროდან სათბურის თაღებში გამდინარე ბუნებრივი თბილი წყალი საიმედოდ იცავს მცენარეებს სიცივისაგან.

მიმდინარე წელს კიდევ ასეთი 40 სათბური აშენდება. 1972 წელს სათბურების ფართობი 7 ჰექტარს მიაღწევს. ეს მეურნეობა ზამთრის პერიოდში მოიყვანს იმდენ კიტრსა და პამიდორს, რომ მთლიანად უზრუნველყოს აფხაზეთის მოთხოვნილება ახალ ბოსტნეულზე.

აფხაზეთის მშრომელებმა იკისრეს:

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მერვე ხუთწლედი 8 ოქტომბრისათვის შეასრულეს, ხოლო 1970 წლის გეგმა — 12 დეკემბრისათვის გაანაღდეს. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 14,7 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1971 წლის პირველი კვარტალის გეგმა 25 მარტისათვის შეასრულონ, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მათ შორის ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების პირველი კვარტალის გეგმა 15 მარტისათვის გაანაღდონ და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ ასობით ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტები.



მეციტრუსეები

სულ რამდენიმე წელია, რაც შეიქმნა მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. დღეისათვის აქ ნარინჯოვნებს 461 ჰექტარი უჭირავს. უახლოეს წლებში მათი ფართობი 500 ჰექტარს გადაამეტებს. 1975 წლისათვის მეურნეობა სახელმწიფოს მისცემს 3 ათას ტონა ციტრუსების ნაყოფს, ხოლო 1980 წლისათვის 7 ათას ტონას და მეციტრუსეობის მეურნეობებს შორის იგი საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი იქნება. მეურნეობაში საკმაო ადგილი უჭირავს ჩაის პლანტაციებსაც.

ჩვენი მეურნეობის ახალგაზრდა კოლექტივი განუზრელად ატარებს ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებში აგროღონისძიებათა სრულ კომპლექსს, ფართოდ ნერგავს მოწინავეთა გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს. ამის შედეგად მეცნარეები ლაღად ხარობენ, მაღალია მოსავლიანობა.

მეურნეობის კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის უკანასკნელი წელი. განსაკუთრებით მაღალი მოსავალი უზრუნველყვეს მეციტრუსეებმა. წლიური გეგმით გათვალისწინებული 240 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩავაბარეთ 572 ტონა მანდარინი, 40 ტონა ფორთოხლის ნაცვლად — 58 ტონა, ხოლო 80 ათასი ცალი ლიმონის ნაცვლად 120 ათასი ცალი.

სასახელოდ იმუშავეს მეურნეობის მეჩაიეებმაც. გეგმით გათვალისწინებული 240 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 472 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ციტრუსების განსაკუთრებით მაღალი მოსავალი მიიღეს იმ აგროგანყოფილებებმა, რომლებსაც გ. უბილავა, მ. დარსანია, ტ. ფიფია ხელმძღვანელობენ.

მანდარინის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 12-13 ტონას მიაღწია იმ ბრიგადების პლანტაციებში, რომლებსაც ლ. ქვაცაბაია, ა. ჩეხერია, ჯ. ჩაკაბერია, ნ. ბაძაღუა და ა. თორია უდგანან სათავეში.

მეურნეობაში ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლა-პატრონობაში გამოიჩინეს თავი მუშებმა ბ. გოგოხიამ, გ. ქარდავამ, ა. ჭანტურიამ, მ. შარიამ, გ. ყოლბაიამ, ჯ. უბილავამ და სხვებმა.

ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებში უკვე ფართოდ არის გაშლილი საზამთრო სამუშაოები. ამჟამად ჩვენი მთავარი საზრუნავია უზრუნველვყოთ მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ახალგაზრდა მცენარეების დაუზიანებელი გამოზამთრება. ამისათვის სათანადო პირობები გვაქვს.

მ. ალავიძე,
გალის რაიონის მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, საქართველოს კპ აფხაზეთის XXXI საოლქო კონფერენციის დელეგატი.

მეტყველი ციფრები

ჩაი
1966
85.670 ტონა
1970
48.595 ტონა

თამბაქო
1966
4.675 ტონა
1970
6.448 ტონა

მანდარინი
1966
3.758 ტონა
1970
8.265 ტონა

ფორთოხალი
1966
17 ტონა
1970
350 ტონა

სიტყვას ვაძლევთ კონფერენციის დელეგატებს

სიმდიდრის წყარო

როგორც მთელმა ჩვენმა ავტონომიურმა რესპუბლიკამ, სოფელმა ლიხნმაც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მკვეთრად იცვალა სახე. მდიდარი რეგიონალური ტრადიციების მქონე ლიხნელები კულტურულად და შემძლებულად ცხოვრობენ. ჩვენი სოფელი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კეთილშობილურ საქმეში. კოლმეურნეობა „ლიხნი“ მძლავრი მეურნეობაა, რომელიც 1.500-ზე მეტ კომლს აერთიანებს. მის განკარგულებაშია 2.700-ზე მეტი ჰექტარი მიწის ფართობი, მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

სოფლის მშრომელთა სიმდიდრის ძირითად წყაროს ჩაი წარმოადგენს.

ლიხნელები განუხრელად ზრდიდნენ პლანტაციების ფართობებს და საშუალო სიმკვეთრე მოსავლიანობას. ამას მოწმობს შემდეგი მაჩვენებლები: 1946 წელს კოლმეურნეობამ სამშობლოს 30 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მისცა, 1950 წელს — 53, 1955 წელს — 350, ხოლო 1970 წელს კი 1.378 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეთ, გეგმა კი 1.100 ტონას ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში მოკრეფილი ფოთლის საერთო რაოდენობის 72,3 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. მოსავლიანობამ ჰექტარზე 6.300 კილოგრამს მიაღწია. მეჩაიეობის თვრამეტივე ბრიგადამ გეგმა და ვალდებულება გადამეტებით გაანაღდა. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მეცხრე ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მეჩაიე მ. ხაგუში ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 14,5 ჰექტარზე 122,8 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა დაგეგმილი 78 ტონის ნაცვლად. ჩაბარებული ნედლეულის 85,7 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 8,530 კილოგრამი ფოთოლი, ეს სარეკორდო მოსავალია.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების საქმეში თავი ისახელეს მეორე ბრიგადის წევრებმაც, რომელსაც ვ. რეხვიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 133 ტონის ნაცვლად 178 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. საამაყო შედეგები მოიპოვეს აღნიშნული ბრიგადების მეჩაიეებმა ს. გუმბამ, ვ. ფარცხალიამ, ე. ფილიამ, გ. ბედინაშვილმა, ს. ჩალაძემ, ს. მეტრეველმა და სხვებმა, რომლებმაც თვითეულმა საშუალოდ 4-5,5 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს.

ლიხნელმა მეჩაიეებმა წარმატებას მიაღწიეს დაკისრებული მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულებით.

ჩვენმა კოლმეურნეობამ წარმატებით გაანაღდა, აგრეთვე თამბაქოს, ყურძნის, ბოსტნეულის, რძის, აბრეშუმის პარკის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები.

ამჟამად სოფლის ყველა მშრომელი გაორკეცებული ენერგიით შრომობს, მტკიცე საფუძველს უყრის საიუბილეო წლის უხვ მოსავალს.

ხ. აიბა,
გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჩამორჩენა დაძლიეთ

დღითიდღე მზვინდება და ლამაზდება სოფელი აბაჟაყა. აქაური მოწინავე ადამიანების ბეჯითი შრომით ჩვენი კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთ მძლავრ მეურნეობად იქცა.

ჩვენი სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეთამბაქოობაა. როგორც ცნობილია, უკანასკნელ ათ წელიწადში პლანტაციების დაავადების გამო აფხაზეთი თამბაქოს ნედლეულის წარმოების გეგმებს ვერ ასრულებდა. არც ჩვენს კოლმეურნეობას ჰქონდა სახარბიელო მდგომარეობა. მაგრამ სოფლის მშრომელთა ბეჯითი შრომით ჩამორჩენა დაძლეულ იქნა. ხუთწლედის უკანასკნელ წელს კოლმეურნეობის მეთამბაქოეებმა სასახელო წარმატებებს მიაღწიეს, გეგმით გათვალისწინებული 84 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 101,5 ტონა ხარისხოვანი თამბაქოს ნედლეული.

თამბაქოს მაღალი მოსავლის მიღებაში განსაკუთრებით დაწინაურდა მეხუთე ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მეთამბაქოე ჯ. ნაჭყებია ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში მე ერთ-ერთ რგოლს ვხელმძღვანელობ. როგორც მთელმა ბრიგადამ, ისე ჩემმა რგოლმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა თამბაქოს წარმოების დავალება. პირადად მე გასულ წელს გეგმით 220 კილოგრამი თამბაქო უნდა მომეყვანა. დამამზადებელ პუნქტს ჩავაბარე 1.131 კილოგრამი თამბაქოს ხარისხოვანი ნედლეული. ჩემთან ერთად მაღალ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე მეთამბაქოეებმა ნარგიზა ნაჭყებიამ, ზინა ბერულავამ, ბაბუცა ჯანაშიამ, ვერა ბერულავამ და სხვებმა.

დავამთავრეთ რა გასული სამეურნეო წელი, ჩვენი სოფლის მეთამბაქოეებმა ენერგიულად მოკიდეთ ხელი მომავალ სეზონში თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის მზადებას. ვაწარმოებთ სანერგეების გადაბარვას, სათბურების ჩარჩოების შეკეთებას, ვაგროვებთ და ადგილზე მოგვაქვს ორგანული სასუქები.

მედეა ბარათაშვილი,
სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „აბჟაყვის“ მერგოლური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გალის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებს 700 ჰექტარი უჭირავს. აქედან 350 ჰექტარი სრულმოსავლიანია. მეურნეობის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და 1970 წლის დავალება. შარშან მეურნეობამ 1.592 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, გეგმა კი 1.280 ტონას ითვალისწინებდა. მოსაკრეფი ნედლეულიდან 400 ტონის აღება ნავარაუდევი იყო ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოთი“. ამ ამოცანის შესრულებას ჩვენმა მექანიზატორებმა წარმატებით გაართვეს თავი.

მეურნეობაში ფართოდ ინერგება კომპლექსური მექანიზაცია. ამჟამად ჩაის შრომატევადი სამუშაოთა 70 პროცენტზე მეტი მექანიზებული წესით სრულდება. ამან მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა ცენტნერი ჩაის თვითღირებულება.

მესამე წელია, რაც მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა მანქანებით. ამ პერიოდში დიდი გადაჭარბებით შესრულდა მექანიზებული კრეფის დავალებები. სულ მანქანა „საქართველოთი“ მოკრეფილია 1.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

უკვე ორი წელია ვხელმძღვანელობ კომპლექსურ მექანიზებულ რგოლს, რომელშიც სამი მექანიზატორია გაერთიანებული. ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მეტად სათუთი მანქანაა. მისი მაღალი წარმადობა უშუალოდ მექანიზატორის ცოდნასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ეს კარგად მაქვს შეგნებული და ყოველთვის ვცდილობ მანქანა სრულ მზადყოფნაში მქონდეს. მარტო შარშან ჩემი მანქანით 40-50 მუშის შრომა შევცვალეთ. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში „საქართველოთი“ მოკრეფილი მაქვს 120 ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს ზღვარი როდია. მომავალში ასეთ მაჩვენებელს ერთ სეზონში უნდა მივაღწიოთ. საამისოდ აქედანვე ვემზადებით. სანამუშოდ ვამუშავებთ ჩაის პლანტაციებს.

მექანიზაციის სიკეთე

გ. ბაძაღუა,
გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა კომპლექსური რგოლის ხელმძღვანელი.

მსოფლიო დღეს

სოციალიზმის მერიდიანებზე

შეხვედრებათა ერთიანობა

ბერლინი. 12 იანვარი. (საკ-დისი). ადნის საგენტოს მიერ აქ გავრცელებულ კომუნიკეში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჯ. იაროშევიჩის ბერლინში ყოფნის შესახებ აღნიშნულია, რომ 11 იანვარს პოლონეთის ხელმძღვანელები შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ულბრიხტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შტოფს.

საუბრის მსვლელობაში ორივე მხარემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ წარმატებთი ვითარდება ყოველმხრივი ურთიერთობა, რომელიც აკავშირებს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასა და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, აგრეთვე ორი მოძმე ქვეყნის სახელმწიფოებსა და ხალხებს. ორივე მხარემ ერთსულოვნად გახაცადა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სისტემატურად განამტკიცონ თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სამხედრო დარგებში როგორც ორმხრივი, ისე ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

პოლონელმა ამხანაგებმა, ნათქვამია კომუნიკეში, გააცნეს სახალხო პოლონეთის საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და გადაწყვეტილებანი, რომლებიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმმა მიიღო მუშათა კლასისა და მთელი პოლონელი ხალხის ინტერესებისათვის, სახალხო პოლონეთში შემდგომი სოციალისტური შენებლობის ინტერესებისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თავის მხრივ გააცნეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის განვითარებული სისტემის მშენებლობის შედეგები და, კერძოდ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ერთიანობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება, სსრ კავშირთან — საზოგადოებრივი პროგრესის მთავარ ძალასთან — ძმური კავშირის განმტკიცება უმნიშვნელოვანესი პირობაა მთელ მსოფლიოში წარმოებული ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრამ, რომელიც გულთბილი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ცხადყო შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხში, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში.

ლონდონი

კომპარტიათა წარმომადგენლების კონფერენცია

12 იანვარი. (საკდესი). აქ გაიხსნა დასავლეთ ევროპის ქვეყნების კომპარტიათა წარმომადგენლების კონფერენცია. მასში მონაწილეობენ 15 ქვეყნის: ავსტრიის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, დანიის, ირლანდიის, ესპანეთის, იტალიის, ნიდერლანდის, ნორვეგიის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიისა და შვეციის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

კონფერენცია განიხილავს მონოპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიების ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკას.

კაირო

აგრესორის გეგმები ჩაიფუშა

12 იანვარი. (საკდესი). **ახიუტში (ზემო ეგვიპტე) გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ანვარ სადათი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტე განაგრძობს ახლო აღმოსავლეთის კრიზისიდან მოწესრიგების გზების ძიებას, „მაგრამ, — თქვა მან, — ეგვიპტე არ დათანხმდება გარიგებას და ხელს არ აიღებს თავის კანონიერ უფლებებზე“.**

ანვარ სადათმა გადაჭრით დაგმო შეერთებული შტატების ცდები ზეგავლენა მოახდინოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე. შეერთებული შტატები, თქვა მან, დათმობას მოითხოვს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან, თვითონ კი კვლავ აიარაღებს ისრაელ აგრესორებს ყველაზე თანამედროვე იარაღით, მათ შორის ნაპალმით, რომლის გამოყენება დაგმო საერთაშორისო საზოგადოებრიობამ.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა არ დათანხმდება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ვადის გაგრძელებას, რომელიც 5 თებერვალს იწურება, თუ იმ კონტაქტების შედეგად, რომლებიც მხარეებმა დაიწყეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის გუნარ იარინგის მეოხებით, არ შეიმუშავეს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გამოყვანის ზუსტი გეგმა.

„საერთაშორისო იმპერიალიზმისა და სიონიზმის გეგმებს, —თქვა პრეზიდენტმა, — რომელთა მიზანია ცეცხლის დროებით შეწყვეტის შეთანხმება გადაიქცეს ერთგვარ პერმანენტულ მდგომარეობად ახლო აღმოსავლეთში, რომლის დროს აგრესორი განაგრძობს არაბული ტერიტორიების ოკუპაციას, ჩაფუშავ უწერია“.

სანქტიაგო

ერთიანობის ეროვნული ასამბლეა

12 იანვარი. (საკდესი). **აქ მუშაობა დაამთავრა ხალხთა ერთიანობის ბლოკის ეროვნულმა ასამბლეამ. ასამბლეის დასკვნითს სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ამ ბლოკში შემავალ პარტიათა და მოძრაობათა წარმომადგენლებმა.**

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნდა განმტკიცდეს ხალხის ერთიანობის რიგები რეაქციული ძალების ხრიკების წინაშე, რომლებიც სულ უფრო ძლიერდება.

ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრმა სენატორმა ვ. ტეიტელბოიმმა აღნიშნა, რომ ხალხის ერთიანობის მთავრობის გახელისუფლების შემდეგ დაიწყო ბრძოლის ახალი, უფრო რთული და ძნელი ეტაპი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოკლე ვადაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ბლოკში შემავალ დაჯგუფებათა ერთობლივი მეცადინეობის შედეგია.

ახლა მთავარი ამოცანაა გააქტიურდეს ხალხის ერთიანობის თხუთმეტივე ათასი კომიტეტის მუშაობა. ხალხის გამარჯვებას ყოველდღე უნდა ვიცავდეთ. სწორედ მაშინ შეეძლებთ სახალხო მთავრობის ღონისძიებათა წარმატების უზრუნველყოფას, თქვა დასასრულ ვ. ტეიტელბოიმმა.

დამონსტრაციულად გავიდნენ

ნიუ-იორკი. 12 იანვარი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მუდმივმა წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გუშინ გენერალურ მდივანს უ ტანს აცნობეს, რომ მათი სახელმწიფოები გადიან დეკოლონიზაციის კომიტეტის (24 სახელმწიფოს კომიტეტის) შემადგენლობიდან.**

ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩ. იოსტმა უ ტანისადმი წერილში გვერდი აუარა საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ მნიშვნელოვანი ორგანოდან აშშ-ის დემონსტრაციულად გასვლის მიზეზის შესახებ. სამაგიეროდ ინგლისის წარმომადგენელმა პირდაპირ აღნიშნა, რომ ბრიტანეთის მთავრობას არ მოსწონს „სპეციალური კომიტეტის საქმიანობის პროგრამა“.

ნიუ-იორკი

იარინგის მისიის შედეგები

12 იანვარი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში გ. იარინგი გუშინ შეხვდა უ ტანს და გააცნო შედეგები ისრაელის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან თავისი საუბრებისა იერუსალიმში ორი დღის მგზავრობის დროს. გუშინვე გ. იარინგი შეხვდა იორდანიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.**

მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმში გ. იარინგის მგზავრობის შედეგებს საიდუმლოდ ინახავენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებულ ჟურნალისტებს შორის სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ თუმცა ისრაელის ლიდერები ხანგრძლივი ბოიკოტის შემდეგ დათანხმდნენ განეახლებინათ კონტაქტები არაბულ ქვეყნებთან, მაგრამ მათ დაიკავეს პოზიცია, რომელიც ვერ შეუწყობს ხელს-მშვიდობიან მოწესრიგებას.

საინფორმაციო საგენტოები იმოწმებენ „საიმედო წყაროებს“ და იუწყებიან, რომ ისრაელის ხელმძღვანელებმა გ. იარინგთან შეხვედრების დროს წამოაყენეს ულტიმატუმური მოთხოვნები, წარუდგინეს მას რუკა იმ არაბული ტერიტორიების აღნიშვნით, რომელთა შენარჩუნებას ისინი ამბობენ.

ის, რომ ისრაელ ლიდერებს არ აუღიათ ხელი ექსპანსიის პოლიტიკაზე და განზრახული აქვთ გაგრძონ არაბთა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, არაერთხელ ყოფილა დადასტურებული სხვა წყაროებითაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ გამოვიდა წიგნი „ისრაელის დილემა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ისრაელ ლიდერებს „მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი“ შეინარჩუნონ გოლანის მაღლობები, აგრეთვე ღაზის მთელი რაიონი, იერუსალიმის არაბული სექტორი და სხვა დაპყრობილი მიწები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ სპეციალური კომისიის ფართოდ გახმაურებულ მოხსენებაში, რომელიც ეძიებს ისრაელის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ნათქვამია, რომ ისრაელის ხელისუფალნი ახორციელებენ ამ ტერიტორიებიდან არაბი მოსახლეობის შეგნებულად გამოდევნის პოლიტიკას.

ვაშინგტონი

ვიეტნამი აგრესიული მიზნებით

12 იანვარი. (საკდესი). **დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ მ. ლერდის ვიზიტი სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში. ბევრ მიმმხხველელს მიაჩნია, რომ ეს ვიზიტი პრელუდიაა აშშ-ის და მისი სატელიტების ახალი სამხედრო ღონისძიებებისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.**

შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის ადმირალ მურერისა და პენტაგონის სხვა მაღალი თანამდებობის გენერლების თანხლებით ლერდმა მთელი რიგი თათბირები მოაწყო საიგონის რეჟიმისა და ტაილანდის წარმომადგენლებთან. როგორც პრესა აღნიშნავს, ლერდის მოლაპარაკების მთავარი მიზანი იყო „მოკავშირეებზე“ ახალი ზეგავლენა იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გააძლიეროს მათი მონაწილეობა ომის „ვიეტნამიზაციის“ პროგრამის განხორციელებაში.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, მოლაპარაკების მსვლელობაში დიდი ყურადღება დაეთმო „სიტუაციის კამბოჯაში, რომელიც სულ უფრო უარესდება“. „მიაჩნიათ, რომ ლერდსა და სხვა ამერიკელ ოფიციალურ პირებს დიდად აწუხებთ ომის მიმდინარეობა კამბოჯაში“, — წერს ასოშიეიტედ პრესის საგენტო რათა უფრო გულდასმით შეისწავლოს ვითარება, აგრეთვე ბნომპენის თხოვნა დახმარების გადიდების შესახებ, ლერდმა კამბოჯაში გაგზავნა შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე ადმირალი მურერი.

სამხრეთ ვიეტნამში შექმნილი სიტუაციის „ოპტიმისტური შეფასების“ მიუხედავად, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ამირებს ვაშინგტონში დაბრუნების შემდეგ ურჩიოს პრეზიდენტს „არ დაიჩქაროს ტემპი“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის ჯარების რიცხვის ეგრეთწოდებული შემცირებისა.

იორდანიაში კვლავ დაძაბულობაა

ბეირუთი. 12 იანვარი. (საკდესი). **აქ ცნობილი გახდა, რომ დღეს ამანში გაიმართება იორდანიის პარლამენტის საგანგებო სესია, რომელიც განიხილავს ამ ბოლო დღეებში გამწვავებულ ვითარებას იორდანიაში.**

გუშინ იორდანიის დედაქალაქში მრავალგზის მოხდა მთავრობის ჯარებისა და პალესტინის წინააღმდეგობის ძალების შეიარაღებული შეტაკებანი, რომელთა შედეგად ორივე მხარეს მოუვიდა ზარალი.

იორდანიის სამხედრო წარმომადგენელმა ამანში განაცხადა, რომ პარტიზანები ნალმავენ ზოგიერთ ჭუჩას ქალაქში და აგებენ ბარიკადებს.

პარიზი. 12 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტი იმოწმებს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის რადიოსადგურის გადაცემას და იუწყება, რომ **პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა მოუწოდა არაბული ქვეყნების ყველა სახელმწიფოთა მეთაურს ყოველი ღონე იხმარონ იორდანიაში შეტაკებების შეწყვეტისათვის.**

კაირო. 12 იანვარი. (საკდესი). იორდანიის მდგომარეობის ნორმალიზაციის არაბული ქვეყნების უმაღლესი კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ლადჰამი დღეს კაიროდან ლონდონს გაფრინდა.

ეს საინტერესოა

ინკეგის განძი იპოვეს?

ნიუ-იორკი. 12 იანვარი. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, სტოკჰოლმში გავრცელდა ხმა, რომ შვედმა კომერსანტმა და მოგზაურმა სტელან მერნერმა იპოვა ინკების განძი.

მერნერის ძმამ კიტოდან (ეკვადორი) მიიღო ლაკონური დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ოქრო ნაპოვნია“.

ამ ცნობამ, განაგრძობს საგენტო, გული აუძგერა დაახლოებით ათას კაცს შვეციაში, საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში, რომლებმაც მერნერის წამოწყებაში დაბანდეს 100 დოლარი თითოეულმა.

43 წლის მერნერი მეთერთმეტეჯერ გაემგზავრა ეკვადორის ჯუნგლებში ინკების საგანძურის საძებნელად, რომელშიც, როგორც ფიქრობენ, არის 6.000 ტონა ოქრო.

იუწყებიან, რომ მერნერმა აღუთქვა თვითონ დაიტოვოს განძის მეოთხედი ნაწილი, ხოლო დანარჩენი გაანაწილოს იმათ შორის, ვინც დააფინანსა მისი კომპანია, რომელსაც ეწოდება „ლანგანატის“ განძის ძიების საპაციო საზოგადოება“.

„ლანგანატი“ ეწოდება შორეულ ზეგანს ეკვადორში, სადაც თითქოს ინკების ოქრო გადაფინდეს ამ ხალხის მეფის განკარგულებით, რათა დაეცვათ ესპანელი კონკვისტადორებისაგან.

ამოდენ

მთავრობის ოპოზიცია

● **სანტიაგო.** (საკდესი). **ჩილეში მთავრობამ რევავს ოპოზიციის დაუფლებია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სამი ბაზა. ეს ბაზები განლაგებულია აღდგომის კუნძულზე, პუნტა-არენასსა და კინტერაზე.**

გააუქმეს გარანტიები

● **მონტევიდეო.** (საკდესი). **ურუგვაის პარლამენტმა 40 დღით გააუქმა კონსტიტუციური გარანტიები. ეს ღონისძიება პოლიციას უფლებას აძლევს აწარმოოს ჩხრეკა-დაპატიმრება პირველი ეჭვისთანავე, დაპატიმრებულ მარკეველი დროით დააკავოს გაუსამართლებლად და გამოუძიებლად. ეს ღონისძიება პრეზიდენტმა მოთხოვნილი ელჩის ჯეფრი ჯენსონის გატაცების გამო.**

ხულიგნური გამოსვლა

● **რომი.** (საკდესი). **ეგრეთ წოდებული იტალიის სოციალური მოძრაობის (ნეოფაშისტური პარტია) წევრი შავხალათიანები თავს დაესხნენ იტალიის კომუნისტური პარტიის ქალაქ პარმის ფედერაციის სამდივნოს წევრს მარკო სახისს. ბანდიტთა ჯგუფმა სასტიკად სცემა მას ქალაქის ცენტრში მზოლოდ იმისათვის, რომ ქუჩაში გაზეთ „უნიტას“ კითხულობდა.**

შეთქმულნი ჩაბარდნენ

● **პარიზი.** (საკდესი). **როგორც ფრანს-პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლაპასდან იტყობინება, მთავრობის ჯარებს ჩაბარდნენ შეთქმულების მონაწილენი, რომლებიც ცდილობდნენ აჯანყება მოეწყოთ ბოლივიის მთავრობის წინააღმდეგ.**

კოტრდება კომპანიები

● **ტოკიო.** (საკდესი). **1970 წელს იაპონიაში გაკოტრდა 9.765 ფირმა და საშუალო კომპანია. გაკოტრებული კომპანიების დავალიანების საერთო თანხა 729.233 მილიონ იენს შეადგენ.ს. გაკოტრებათა ერთერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ შეიზღუდა იაპონური საფეიქრო ნაწარმის ექსპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და შიდა ბაზარში შემცირდა მოთხოვნა ელექტროსაქონელზე.**

რასობრივი შეტაკებანი

● **პარიზი.** (საკდესი). **ამერიკის არმიაში რასობრივი დისკრიმინაცია გახდა ჭარისკაცებს შორის შეიარაღებული შეტაკების მიზეზი. სამხრეთ ვიეტნამის ტუიჰოის ავიაბაზაში ერმანეთს შეეტაკნენ თეთრკანიანები და ზანგები, რომლის დროს გრანატების ავეთქების შედეგად 29 კაცი სერიოზულად დაიჭრა.**

ფაქტები

ამერიკის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია

ნიუ-იორკი. 11 იანვარი. (საკდესი). ამერიკის საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ დაუსჯელი დარჩა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებების წინააღმდეგ სიონისტურ-ტერორისტულ ორგანიზაციათა ვანდალიზმის აქტები. სულ უფრო მეტი ამერიკელი მოქალაქისათვის გასაგები ხდება, რომ „ებრაელთა დაცვის ლიგის“ მსგავსი სიონისტური ორგანიზაციები საქმით დივერსიულ, ტერორისტულ მიზნებს ემსახურებიან და მათ აქეზებენ წრეები, რომელთათვის უცხოა თვით შეერთებული შტატების ინტერესები.

ასახავს ერთგვარად რა ამ წრეების განწყობილებას, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ამერიკის მთავრობა „ვერ შეურიგდება, რომ მის საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენენ ცალკეული პირები, რომლებიც ასეთ მოქმედებას მიმართავენ“.

პრესაში გაჩნდა აგრეთვე განცხადებანი მთელი რიგი ებრაული ორგანიზაციებისა, რომლებიც ემიჯნებიან სიონისტურ-ტერორისტულ ორგანიზაციათა მოქმედებას და მკაცრად გმობენ სიონისტ პროვოკატორებს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნელის საგენტო იუწყება, ამერიკულ-ებრაული კომიტეტის წარმომადგენელმა ფილიკ ჰოფმანმა მოუწოდა ამერიკის მთავრობას „გამოაცხინოს და სამართალში მისცეს“ დამნაშავენი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებებზე თავდასხმაში. ჰოფმანმა წამოაყენა წინადადება, რომ „კონგრესმა და პრეზიდენტმა ნიქსონმა დაუყოვნებლივ წარადგინონ და დამტკიცონ კანონი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს უკანონო მოქმედებას, რომელიც მიმართულია შეერთებულ შტატებში უცხოეთის მთავრობათა საკუთრებისა და მოსამსახურეთა წინააღმდეგ“.

დასავლეთი ბერლინი

საქართველოს წინაშე

12 იანვარი. (საკდესი). **გუშინ აქ მოაბიტის რაიონის სასამართლოს საქმეთა სასამართლოს შენობაში დაიწყო წინასწარი მოსმენა ფაშისტი არამზადის ვაილის საქმისა, რომელიც შარშან 6 ნოემბერს ღამით თავს დაესხა საბჭოთა ყარაულს საბჭოთა მეომრების ძეგლთან ტირპარტენში (ოკუპაციის ინგლისური სექტორი).**

წინასწარი მოსმენის მსვლელობაში მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს საკითხი, რომ ვაილის საქმე გასარჩევად გადასცენ ბრიტანეთის სასამართლო ხელისუფლებს დასავლეთ ბერლინში.

ჰავანა

მუშაობა დაამთავრა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის კონგრესმა

12 იანვარი. (საკდესი). **მუშაობა დაამთავრა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის VII კონგრესმა, რომელიც კუბის დედაქალაქში გაიმართა.**

კონგრესის დასკვნითს სხდომაზე ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ლაურეატების დიპლომები მიანიჭეს **მონღოლეთის გაზეთ „უნენის“ კოლექტივს, გაზეთ „პრავდის“ პოლიტიკურ მიმომხილველს იური ჟუკოვს და პროგრესულ სამხრეთამერიკელ ჟურნალისტ გოვან მბეკის, რომელიც ახლა დაპატიმრებულია.**

სპეციალური დიპლომებით აღინიშნა კუბელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელმაც თავი გამოიჩინეს 1970 წლის საფრის მიმდინარეობის გაშუქებაში.

შემდეგ გაიმართა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. **ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ეან-მორის ერმანი (საფრანგეთი), ვიცე-პრეზიდენტებად — სსრ კავშირის, კუბის, ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პერუს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩილეს, სამხრეთ ვიეტნამისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.**

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურ მდივნად კვლავ აირჩიეს ირჟი კუბკა (ჩეხოსლოვაკია).

კუბის დელეგაციის წინადადებით, კონგრესმა მოიწონა ერნესტო გევარას ხსოვნისადმი მიძღვნილი განცხადება.

კონგრესზე დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა, **რევოლუციური მთავრობის მინისტრმა კარლოს რაფაელ როდრიგესმა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდეს როლს ასრულებენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები მშვიდობის დაცვასა და განმტკიცებაში, იმპერიალისტ, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელ აგრესორთა მტაცებლურ მისწრაფებათა აღაგმვაში.

კონგრესის მონაწილეებმა მიიწონეს მიმართვა კომუნისტ ანჯელა დევისის დასაცავად.

კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია აზრის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ევროპის დემოკრატიულ ჟურნალისტთა ამოცანები.

კონგრესმა მიიღო აგრეთვე რეზოლუცია ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების ბრძოლის მხარდასაჭერად.

ჯაკარტა

ოლსტერი: ვითარება მწვავდება

ლონდონი. 12 იანვარი. (საკდესი). **ოლსტერში კვლავ მწვავდება პოლიტიკური ვითარება. წუხელ ბელფასტის კათოლიკეთა რაიონში მოხდა ინგლისელი ჯარისკაცებისა და ახალგაზრდობის ჯგუფების გაფფრენილი შეტაკებანი.**

პრესა აღიარებს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მზარდი უმუშევრობა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუარესება.

მხოლოდ ბოლო ორ კვირაში, წერს გაზეთი „გარდიანი“, ბელფასტში დაიხარა ორი ქარხანა. ოფიციალური მონაცემებით, ოლსტერის შრომისუნარიან მამაკაცთა თითქმის მეხუთეულს საშუალება არა აქვს მოეწყოს სამუშაოზე.

მსოფლიო დღეს

ამერიკის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია

ნიუ-იორკი. 11 იანვარი. (საკდესი). ამერიკის საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ დაუსჯელი დარჩა ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებების წინააღმდეგ სიონისტურ-ტერორისტულ ორგანიზაციათა ვანდალიზმის აქტები. სულ უფრო მეტი ამერიკელი მოქალაქისათვის გასაგები ხდება, რომ „ებრაელთა დაცვის ლიგის“ მსგავსი სიონისტური ორგანიზაციები საქმით დივერსიულ, ტერორისტულ მიზნებს ემსახურებიან და მათ აქეზებენ წრეები, რომელთათვის უცხოა თვით შეერთებული შტატების ინტერესები.

ასახავს ერთგვარად რა ამ წრეების განწყობილებას, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ამერიკის მთავრობა „ვერ შეურიგდება, რომ მის საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენენ ცალკეული პირები, რომლებიც ასეთ მოქმედებას მიმართავენ“.

პრესაში გაჩნდა აგრეთვე განცხადებანი მთელი რიგი ებრაული ორგანიზაციებისა, რომლებიც ემიჯნებიან სიონისტურ-ტერორისტულ ორგანიზაციათა მოქმედებას და მკაცრად გმობენ სიონისტ პროვოკატორებს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნელის საგენტო იუწყება, ამერიკულ-ებრაული კომიტეტის წარმომადგენელმა ფილიკ ჰოფმანმა მოუწოდა ამერიკის მთავრობას „გამოაცხინოს და სამართალში მისცეს“ დამნაშავენი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებებზე თავდასხმაში. ჰოფმანმა წამოაყენა წინადადება, რომ „კონგრესმა და პრეზიდენტმა ნიქსონმა დაუყოვნებლივ წარადგინონ და დამტკიცონ კანონი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს უკანონო მოქმედებას, რომელიც მიმართულია შეერთებულ შტატებში უცხოეთის მთავრობათა საკუთრებისა და მოსამსახურეთა წინააღმდეგ“.

თავისუფლება ანჯელა დევისს!

ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული საზოგადოებრიობა მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმ სასამართლო ფარსის გამო, რომელიც ამერიკის ხელისუფალთ მოაწყეს კომუნისტისა და ზანგთა უფლებებისათვის გამოჩენილი მებრძოლის ანჯელა დევისის წინააღმდეგ. ისევე, როგორც ყველგან, შეერთებულ შტატებშიც არ წყდება მამაცი პატრიოტი ქალის დასაცავად გამართული დემონსტრაციები, მანიფესტაციები... ზამთრის თოვლიან დღეს გამოვიდნენ ქუჩაში (სურათზე) დეტროიტელი ახალგაზრდები. ისინი თავიანთ ხმას უერთებენ ანჯელა დევისის მრავალმილიონიან დამცველთა მრეხსნანე ხმებს.

ტელეფოტო საკდესისა.

ეროვნული ერთიანობა

ბერლინი. 12 იანვარი. (საკდესი). **ადნის საგენტოს მიერ აქ გავრცელებულ კომუნიკეში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჯ. იაროშევიჩის ბერლინში ყოფნის შესახებ აღნიშნულია, რომ 11 იანვარს პოლონეთის ხელმძღვანელები შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ულბრიხტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შტოფს.**

საუბრის მსვლელობაში ორივე მხარემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ წარმატებთი ვითარდება ყოველმხრივი ურთიერთობა, რომელიც აკავშირებს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასა და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, აგრეთვე ორი მოძმე ქვეყნის სახელმწიფოებსა და ხალხებს. ორივე მხარემ ერთსულოვნად გახაცადა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სისტემატურად განამტკიცონ თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სამხედრო დარგებში როგორც ორმხრივი, ისე ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

პოლონელმა ამხანაგებმა, ნათქვამია კომუნიკეში, გააცნეს სახალხო პოლონეთის საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და გადაწყვეტილებანი, რომლებიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმმა მიიღო მუშათა კლასისა და მთელი პოლონელი ხალხის ინტერესებისათვის, სახალხო პოლონეთში შემდგომი სოციალისტური შენებლობის ინტერესებისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თავის მხრივ გააცნეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის განვითარებული სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობის შედეგები და, კერძოდ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ერთიანობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება, სსრ კავშირთან — საზოგადოებრივი პროგრესის მთავარ ძალასთან — ძმური კავშირის განმტკიცება უმნიშვნელოვანესი პირობაა მთელ მსოფლიოში წარმოებული ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრამ, რომელიც გულთბილი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ცხადყო შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხში, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში.

ნიუ-იორკი

იარინგის მისიის შედეგები

12 იანვარი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში გ. იარინგი გუშინ შეხვდა უ ტანს და გააცნო შედეგები ისრაელის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან თავისი საუბრებისა იერუსალიმში ორი დღის მგზავრობის დროს. გუშინვე გ. იარინგი შეხვდა იორდანიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორ



ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ

● ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲙᲐᲤᲐ 300 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ.

● ᲓᲔᲜᲓᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ 850 ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐᲐ.

მღერის კაპელა

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის პირველი კონცერტი, რომელიც აქ ამას წინათ გაიმართა, მნიშვნელოვანი მოვლენაა. შემოქმედებითი კოლექტივის დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. პირველ კონცერტს წინ უძღოდა დაძაბული მოსამზადებელი მუშაობა.

აფხაზეთის საგუნდო კაპელის ჩამოყალიბებაში დიდი იყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს როლი. თბილისიდან სპეციალურად იქნა მოწვეული ცნობილი ლოტბარი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე გ. ბუხრიკიძე. ქართული მუსიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოკლე დროში მან საგრძნობი მუშაობა გასწია. სოხუმელ კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილთან და სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორ ა. ჩიჩბასთან ერთად შეარჩია მუსიკალური ნაწარმოებები, ბევრი იმუშავა აგრეთვე კაპელის ყველა 41 წევრის ხმის დასამუშავებლად.

კონცერტის პირველ ნომრად შესრულდა აფხაზი კომპოზიტორის ა. ჩიჩბას კანტატა „აფსნი". საზეიმო და საგმირო კანტატა ადიდებს მშობლიურ მხარეს — საბჭოთა აფხაზეთს, რომელიც ემზადება თავისი სახელოვანი 50 წლისთავის შესახვედრად.

კაპელის რეპერტუარშია როსანინის, შუმანის, სენ-სანსის ნაწარმოებები, ო. თაქთაქიშვილის „შრომის სიმღერა", ნ. სულხანიშვილის კანტატის „ქართლის გულის" მესამე ნაწილი და მ. ბერიკაშვილის ახალი ნაწარმოებები „მაძა-მაძა" და „სახუმარო სიმღერა", რომლებიც სპეციალურად ამ კაპელისათვის დაიწერა.

კარგი საშემსრულებლო ტექნიკა უჩვენეს, ემოციურად, ტემპერამენტით იმღერეს სოლისტებმა ე. ჯიკირბამ, ვ. ჩამგუთამ, ფ. სტეპლიანმა, აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ოკროფერიძემ, დ. ნოვიკოვამ. კარგად გაართვა თავი თავის ამოცანას კონცერტმაისტერმა ლ. სხირტლაძემ.

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის თეატრის დარბაზში მოსული მაყურებელი გულთბილად შეხვდა საგუნდო კაპელის კონცერტს.

• • •

სურათზე: მღერის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა.

ფოტო ბ. ალპერტისა.

ციხეფერი ზამთარი

აფხაზეთს კეროორტთა მხარეს უწოდებენ. ეს მის შესაფერად წარმოთქმული მარტო ეპითეტი როდია, ეს საქართველოს ამ კუთხის სავსებით რეალური და გადაუჭარბებელი დახასიათებაა. ამაზე მეტყველებს მარტო ის ფაქტიც, რომ ავტონომიური რესპუბლიკის 58 სანატორიუმს, დასასვენებელ სახლსა და პანსიონატში, 5 ტურისტულ ბაზაში ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ჩვენი კავეყნის 300 ათასი მოქალაქე და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმარი.

თუ ამას დავუმატებთ ათასობით უსაგზურად ჩამოსულ, ან როგორც ამბობენ, არაორგანიზებულ დამსვენებლებს და ამასთან მხედველობაში მივიღებთ იმ მნიშვნელოვან ფაქტორსაც, რომ აქ საკურორტო სეზონი არასოდეს არ იხურება, ზამთარ-ზაფხულ გრძელდება, ნათელი გახდება რატომ შეარქვეს აფხაზეთს კეროორტთა მხარე.

და ახლაც, ამ შუა ზამთარშიც არავის არ გააკვირვებს ეს რეპორტაჟი აფხაზეთის შავიზღვისპირეთიდან.

აქაურ სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებსა და ტურისტულ ბაზებში ახლაც ისეთივე ხალხმრავლობაა, როგორც ივლისსა და აგვისტოში. ეს სურათები ამ რაღაენიმე დღის წინათ არის გადაღებული და განა მათში იგრძნობა ზამთრის ნაღვლიანი განწყობილება? ყველგან მზე, სიცინცხლე, სიცოცხლე და სიხარულია, და ეს ნათლად არის აღბეჭდილი თვით დამსვენებლთა სახეებზეც.

ზამთარშიც არ მოჰკლებია სილამაზე და მომხიბვლელობა შავი ზღვის მარგალიტს — ბიჭვინთას, დამსვენებლები არ აკლია მის ახლათ-ახალ პანსიონატებს. არა მარტო პარკებსა და ხეივნებში სასეირნოდ გამოსულთ, არამედ პლაჟზეც ხშირად ნახავთ ადამიანებს.

მოგზაურობის მოყვარულთათვის დაბრკოლებები არ არსებობს, მაგრამ როცა მათი მარშრუტი აფხაზეთზე გადის, ისინი მეტი ხალისით მოეშურებიან აქეთკენ და სურთ რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ აქ.

დამსვენებელთა სოუკეთესო მასპინძელია სოხუმის კომკავშირის XV ყრილობის სახელობის ტურისტული ბაზა (დირექტორი გ. მეშველიანი). აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ტურისტებმა კარგად დაისვენონ, მოიკრიბონ ძალღონე ძნელ გზებზე შემდგომი მოგზაურობისათვის. ტურისტებიც მადლიერნი არიან. ტურიზმის სამახსოვრო წიგნში ბევრი გულთბილი სიტყვაა ჩაწერილი ტურბაზის გულისსმიერი, შრომისმოყვარე კოლექტივისადმი, განსაკუთრებით მადლიერებას გამოთქვამენ დამსვენებლები ტურბაზის დირექტორის ე. ჩალავის, შეფ-მზარეულის ს. ხუბულავას, სართულების მორიგეების ნ. სუბელიანისა და კ. არიფეევას, კულტმუშაკის ს. პაპკორიას და სხვების მიმართ.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: კეროორტ ბიჭვინთის მრავალსართულიანი კორპუსების ხედი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ვ. ქარსელაძის მემორიალი

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ

□

ᲑᲝᲠᲘ, 12 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრს ამ დღეებში ცოტა მაყურებელი როდი ჰყავს. როგორც ცნობილია, აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნის ტურნირი ჭადრაკში.

უკვე გათამაშდა სამი ტური. გადადებული პარტიების დამთავრებამ, რომელიც დღეს შედგა, გარკვეული სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილში, დღესვე შედგა პლატონოვ-პოდგაიეცის გამოტოვებული პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას მიქაძე ბრძოლის განუახლებლად დანებდა ჯინჯიხაშვილს და ყაიმზე შეუთანხმდა ფიურმანს. ორი გადადებული პარტია ჰქონდა გურგენიძეს. ბოკუჩავასთან შეხვედრა მან ყაიმით დამთავრა, ხოლო „გუთარაშვილთან მოიგო. ჯინჯიხაშვილისა და გაგუას პარტიაში გაიმარჯვა პირველმა.

სამი ტურის შემდეგ ლიდერები არიან გუფელდი და ჯინჯიხაშვილი, რომლებსაც 2,5-2,5 ქულა აქვთ. მომდევნო ორი ადგილი უჭირავთ გურგენიძისა და ფურმანს— 2-2 ქულა.

18 იანვარს გაიმართება მეოთხე ტური.

სოჭში, აპრილ-მაისში

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ. პირველობის პრეტენდენტთა მომავალი მატჩები საკადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრშია. ეს ასპარეზობები ძირითადად სტარტს მიმდინარე წლის გაზაფხულზე აიღებს. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის წესებით მეოთხედფინალში მეტოქეებმა უნდა გაითამაშონ ათ-ათი პარტია. შეგახსენებთ მეოთხედფინალის წყვილებს: ე. გელერი — ვ. კორჩნოი (ორივე სსრ კავშირიდან), ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი) — რ. ჰიუბნერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), რ. ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები) — მ. ტალი (სსრ კავშირი), ბ. ლარსენი (დანია) — ვ. ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ცნობილი გახდა, რომ ე. გელერისა და ვ. კორჩნოის მეოთხედფინალური მატჩი გაიმართება სოჭში აპრილ-მაისში. თუ სად ან როდის უნდა შედგეს დანარჩენი მეოთხედფინალური წყვილების ასპარეზობა, ეს ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ამჟამად მომდინარეობს მოლაპარაკება. ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ბროფესორმა მ. ეიგენ (ჰოლანდია).

ᲜᲘᲥᲝᲡᲐᲜ-ᲡᲚᲐᲚᲝᲛᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ

1971 ᲬᲚᲘ ჩვენი ქვეყნის ნიკიტოსან-სლალომისტთათვის იქნება დიდ ოფიციალურ საერთაშორისო ასპარეზობებში ძალთა სერიოზული მოსინჯვის წელი. ბაიდარებისა და კანოეთი მოასპარეზეებმა ამ მხრივ შარშან გადადგეს პირველი ნაბიჯი და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. ახლა მათ გაეზრახული აქვთ მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც იტალიაში გაიმართება აგვისტოში.

წყლის სლალომისტთა საკავშირო მნიშვნელობის ასპარეზობა გაიმართა შარშან ოქტომბერში მდინარე რიონზე ტყიშის მახლობლად, წყლს კი ასეთივე შეხვედრა შეიდება ასევე რიონზე ამბროლაურის მიდამოებში, სადაც სლალომისტთა ტრასა კიდევ უფრო რთულია. აქ ასპარეზობა წარმართება იმის გათვალისწინებით, რომ ათვისებულ იქნას მსოფლიო პირველობის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ჩვენი სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ 1972 წლის ოლიმპიადაზე.

საბჭოთა ნაკრების წლევანდელ პროგრამაში შედის საერთაშორისო ტრადიციულ რეგატებში მონაწილეობა. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება გაიმართება მოსკოვში მაისში, ივნისში კი დაგეგმილია სტოკჰოლმის ასპარეზობაზე გამოსვლა, ხოლო ივლისში — კოპენჰაგენის მახლობლად მდებარე ბაქსეერდის ტბის ასპარეზობაში მონაწილეობა.

ᲛᲐᲨ ᲐᲡᲔ, ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜ-ᲰᲘᲣᲑᲜᲔᲠᲘ...

ამსტერდამი, 12 იანვარი. (საკადსი). დღეს ჰოლანდიის ქალაქ ბევერვეიკში პირველად შეხვდებიან ერთმანეთს ჭადრაკში მსოფლიო ექს-ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი და ახალგაზრდა დასავლეთგერმანელი გროსმაისტერი რობერტ ჰიუბნერი, რომელმაც ამას წინათ გამართულ საზონთაშორისო ტურნირში თავისი შესანიშნავი გამოსვლებით სენსაცია გამოიწვია. მაგრამ ეს არ იქნება მსოფლიო გვირგვინისათვის მებრძოლი რვა პრეტენდენტიდან ორი პრეტენდენტის მეოთხედფინალური მატჩის დასაწყისი. იგი გაიმართება აპრილ-მაისში. ჯერჯერობით საბჭოთა და დასავლეთგერმანელი მოკადრაკე აღმოჩნდნენ ტრადიციული „ბოგოვენ-ტურნირის" მონაწილეთა რიცხვში, და წელისწინის შედეგად ისე მოხდა, რომ სწორედ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ შეჯიბრების სტარტზე.

პეტროსიანი და ჰიუბნერი წინა არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. და ამიტომ მათი ორთაბრძოლა დიდ ინტერესს იწვევს. მსოფლიო ექს-ჩემპიონი შავი ფიგურებით ითამაშებს.

მომდინარე, ტურნირში მონაწილეობს მსოფლიო პირველობის კიდევ ერთი პრეტენდენტი ვიქტორ კორჩნოი. გარდა ზემოაღნიშნული მოკადრაკეებისა, ბევერვეიკში გამოდიან სვეტოზარ გლიგორიჩი და ბორისლავ ივკოვი (ორივე იუგოსლავიიდან), ლევენტ ლუდოფი (უნგრეთი), მიგელ ნაიდორფი (არგენტინა), ფრიდრიკ ოლაფსონი (ისლანდია), ვლასტიმილ ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), იანპეინ დონერი (ჰოლანდია). სულ მთავარ ტურნირში მონაწილეობს 16 მოკადრაკე.

ამასთან ერთად მოეწყობა ოსტატების, ქალების შეჯიბრება (მათ შორის არის მოსკოველი ალა კუზნირი) — სულ „ბოგოვენ-ტურნირში" მონაწილეობას მიიღებს 25 ქვეყნის დასტლობით ხუთასი მოკადრაკე.

ტურნირი გახსნა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მაქს ეიგენ (ჰოლანდია).

ᲓᲔᲜᲓᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმარი დიდ ინტერესს იჩენს სოხუმის დენდროპარკისადმი, რომელიც სამართლიანად ითვლება უნიკალურად. საკმარისია თქვას, რომ მცენარეთა კოლექცია, რომელიც აქ არის თავმოყრილი, 850 სახეობას აღემატება. ამასთან ადგილობრივ ფლორას მხოლოდ ერთი პროცენტი მიეკუთვნება. დენდროპარკი თავისი სიმდიდრით სოხუმის ბოტანიკურ ბაღს სჯობნის. აქ საინტერესო ცდებსა და დაკვირვებებს აწარმოებენ მემცენარეობის გავლენოვის სასელობის ლენინის ორდენოსანი საკავშირო ინსტიტუტის თანამშრომლები.

პარკში შესასვლელიდანვე სხვადასხვა მიმართულებით გაშენებულია ხეივნები, სადაც ექსკურსანტები ეცნობიან საუცხო მცენარეების სამეფოს, რომლებიც აქ ჩამოტანილია სხვადასხვა ქვეყნიდან.

მათ შორის აღსანიშნავია ატლასური კედრი, იაპონური კამელია, ბრაზილიური არაუკარია, აგავა და მრავალი სხვა.

მაგრამ განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს „სპილოსბრი" პალმების ხეივანი — ვეებერთელა სვეტები, რომლებიც სპილოს ფეხებს მოგვაგონებენ, სწორ რიგებად არიან ჩამწკრივებულნი. მათი განუზომელი სიმაღლეზე ციმბალებს ყოველ მნახველს. ეს ხეივანი დენდროპარკის ნამდვილი მარგალიტია, რომელიც მარტო გასულ წელს 20 ათასზე მეტმა სტუმარმა დათვალიერა.

• • •

სურათზე: პარკის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო მ. ტარასოვისა.

სამეცნიერო სესია

სოხუმი. (საკ. კორ.). ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ისტორიის ინსტიტუტის, ლიტერატურათმცოდნეობის რუსულენოვანი საკოორდინაციო საბჭოსა და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა აკ. ბარამიძემ.

სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი პ. შარია, აკადემიკოსი აკ. ბარამიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. გუბელია, პროფესორები გ. ციცეშვილი, ლ. მენაბდე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. გურგულია, პროფესორები გ. მერკვილაძე, ს. ხუციშვილი, ს. ცაიშვილი, კრიტიკოსი ბ. ჭელიტა და სხვები.

ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ

სოხუმი. (საკ. კორ.). ა. ს. ბუკინის სახელობის მეორე საშუალო სკოლას ასი წელი შეუსრულდა.

ათასობით ჭაბუამ და ქალიშვილმა მიიღო აქ განათლება. სკოლადამთავრებულებიდან ახლა ბევრია ცნობილი მეცნიერი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწე, შრომისა და ომის ვეტერანები.

ამასწინათ აფხაზეთის საზოგადოებრივობამ ზეიმით აღნიშნა სკოლის იუბილეი.

ᲡᲐᲮᲘᲣᲥᲐᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲑᲡ

სოხუმი. (საკ. კორ.). ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲣᲥᲐᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲐᲚ. ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ Ა. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ Ო. ᲛᲝᲠᲝᲩᲝᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲬᲧᲝ „ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ" ᲙᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ — ᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲗᲕᲚᲝ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲐᲥ. ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲗᲕᲗᲔᲜ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲗᲕᲗᲔᲜ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲗᲕᲗᲔᲜ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ Ა. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ Ო. ᲛᲝᲠᲝᲩᲝᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲬᲧᲝ „ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ" ᲙᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲗᲕᲗᲔᲜ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐᲡ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲘ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲗᲕᲗᲔᲜ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲨᲘ.

ᲜᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲨᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲛᲐ ᲨᲐᲮᲐᲢᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲛᲐᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐ „ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ" ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ. ᲨᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲘᲡᲬᲠᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘ. ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ